სახალხო გაზეთი

№ 719 ოთხშაბათი, 10 ოქტომბერი 1912 წ. № 719

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიდებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სალამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე [illegible] გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სალამოს [illegible]

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; [illegible] წერილები და კორესპონდენციები [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და [illegible] პარაკებს შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

კანტორისაგან

1912 წ. პრემია **„გრდემლის" მისაღებად** უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უეჭურადღებოდ იქნება დატოვებული.**

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა **1912 წლისათვის.**

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
1 ღვინოგბისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 2 მ. და 25 კ.
თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთს გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**
დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 8.
ხუთშაბათს, 11 ოქტომბერს, 1912 წ.
ქართ. დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგ. იქნება
სიზმარი კოშკში, დრამ. ეტიუდი 1 სურ' კონსტან-ანდრონისა.
2) **პირველად ქართულ სცენაზე გერმან ბარის ახალი პიესა**
კონცერტი, **მხიარული კომედია** 3 მოქ., თარგმ. ვ. გუნიასი.
მონაწ. ღებულობენ ქ-ნნი: აბაშიძე, გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ლოლუა, მარგარიტა, ქიქოძე, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ბერიშვილი, გუნია, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მატარაძე, მგალობლიშვილი, სარაული.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
თეატრის დირექცია დაბეჯითებითა სთხოვს ბ. მაყურებელთ, ფარდის ახდამდე დასხდნენ თავიანთ ადგილზე, რადგანაც ფარდის ახდის შემდეგ დარბაზში აღარავის შეუშვებენ.
ანონსი: კვირას, 14 ოქტ. წარმ. იქნება **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწ. **„კინი".**
1541. რეჟისორი **ვლ. ალექსი მესხიშვილი.** ✦ ქართ. დრამ. საზოგ. ადმინ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძველნიშვის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო
ტელეფონი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

ზოგადი ავადმყ.: **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
დავითიანი ნ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
მალალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
ბანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

სადღეისტა. ქირურ. (ქირურგიული): **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
მელიქიშვილი ნ. ვ. (ყოველ დღე) 10—1.
ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.

საშობიარო ფრ. ქალ. (ქალთა სნეულებანი): ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
ხუდაკოვი ბ. ი. (ყოველ დღე) 12—1.
ოიკანიძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.

ბავშვების ავადმყ. **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

ნერვ. ავადმყ. ელექტ. **გედევანიშვილი მ. ბ.** (შაბათობით) 10½—11.
დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.

ყელ. ცხვ. **ბოენიანიცი ნ. ბ.** (ყოველ დღე) 1—2.
ორეშმბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.

თვალ. ავ. **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათი ით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.

კან. დაბ. ავ. **მზარეულიშვილი ფ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამეოროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათანგ. **Wasserman.** რეკვისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კოსულტაციები, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; „606" **წამლის შეშლაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შეეოზეება და სხვა მეცადათიანი საფასურით. ტ. 1010.

გამოსულია და იყიდება
არჩილ ჭორჭაძის თხზულებანი:

I ტ „ეროვნულ პრობლემის გაშემრ" ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „ 80 კ.
III „ „ნ�აზრევი" „ „ „ „ „ „ „ 65 კ.
IV „ **წერილები** „ცნობის ფურც."-„მოამბ." 1901—1902 წ. „ 85 კ.

შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭო ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლისათვის იწვევს ორ მასწავლებელს,

რომელთაგან თითოეულს მიეცემა ჯამაგირად წელიწადში 1008 მან. მსურველებმა თხოვნით უნდა მიჰმართონ ქ. ქუთაისში შავი ქვის მრეწველთა საბჭოს **25 ოქტომბრამდე.** საჭირო საბუთები ახლავე უნდა წარმოადგინოს ან აღნიშნოს, თუ სად ინახება ეს საბუთები. 1547.

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქრისტიანო მოძღვრებ., ფასი	30 კ.	Новокаванъ Іоанни Постника, Хаханова	1 მ.
სიტყვა თქმული ერთს კრებაზე,	10 კ.	Правила VI, Вселенскаго собора Хах.	1 მ.
საეკლესიო ქადაგებანი იოანე ბოლნელისა	1 მ.	Іерусалимскій Канонарь VII в. Св. Кекелидзе,	2 მ.
მოძღვრებანი მღვდ. გამრეკელ.	40 კ.	Древне-Грузинскій Архіеритиконъ, Кекелидзе	1 მ.
წესი სამღვდელოსა და სად. მრთო ლიტურგიისა წმინდათა შორის მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა	60 კ.	Культурная роль Иверіи въ Исторіи Русси. სამი მანეთის ნაცვლად	1 მ. 50 „
Слова и рѣчи, ეპისკ. გაბრიელი	2 მ.		

დარესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

გამოსულია და იყიდება
ნ. ფიუკაშვილის პიესა „მეგოგბოგბა", დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის

ალოგ-ბლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ხელ. მისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლოლას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (ფ. 1020

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ბ. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.
შ. ა. მიქელაძე. შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური-ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი: ჩვეულებრივ. საფეს 50 კაპ.
ოპერაციები და კოსულიუმი მორიგეობით,
ნამლოგა „606"-ი. 1018

დოქტორი მედიცინისა ბერლ. უნივერს.
გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგ. ავადმყ., ავადმყოფობ. ფილტვ.—ტუბერკულ. და გულისა. წამლობს ტუბერკულინით, რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე). **ტელეფ. 7—92.** 1497

კბილის ექიმი
მამულაიშვილი-ხოდნევისა

წამლობა, პლომბის გაკეთება ფაიფურით და ოქროთი. კბილის ამოღება უტკივილოდ. ოქროს „კორონკები" და „ვსტავკები" (ახალი სისტემის პლომბი, რომელიც არ იშლება და არ ვარდება). ბრუნდი კბილები გასწორება. მიღება დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ოლგას ქუჩა № 20, ბინა—5. 1504

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა** და გადაღება **რენტგენის** სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. ფ. 1022

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშვილდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ.** ქ. № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 1530

ექიმი **ს. ი. გაძელიშვილი** შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. 1411

ექიმი **ქ ა ლ ი** **დ. ზ. საყვარელიძე.** იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე.
კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

ექიმი **ივ. ზოგვართელი** **დაბრუნდა** და განაახლა ავათმყოფების მიღება. ვერაზე, ოლგას ქუჩა № 20. დილის 8—11 ს.-მდე, საღ. 5—7 საათ. 701.

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ექიმი **კბილისა და ღრძილებისა** **პ. ა. ძაბაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე 0.49.

ექიმი **პ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

ექიმი **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334.

ექიმი **კბილისა** **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი **შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებანი** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ.. № 6.

ტფილისი, 10 ოქტომბერი

სინანლის არჩევნების გამო. სინანლიდან საკუთარი კორესპონდენტი გვაცნობებს, ქალაქის არჩევნები კომისიამ უკანონოდ იცნო და მეორედ დაინიშნებაო.

არჩევნები ტფილისის გუბერნიაში თითქმის ყველგან გათავებულია. უკვე გამორკვეულია ძალთა განწყობილება. ამიტომ თვითოეულ ზედმეტად მიღებულ ხმას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. სინანლის იმ ამომრჩევლებმა, რომელთაც კარგადა აქვთ გათვალისწინებული დღევანდელი მომენტი, რომელთაც უნდათ თავიანთი წვლილი შეიტანონ ქართველ ხალხის ეროვნულ თვითცნობიერების გაღვიძების საქმეში, ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ სინანლიდან ჩვენთვის სასურველი კანდიდატი გავიდეს. სოციალ-დემოკრატები არავითარ საშუალებას არ მოერიდებიან. თუ კი ქუთაისელებთა შორის ავრცელებენ, კიტა აბაშიძეს მომხრენი „პროგრამშჩიკები" არიანონ, რა დაუშლით ასეთსავე საზიზღარ ცილისწამებას მიჰყონ ხელი ყველგან, სადაც გამარჯვებას მოისურვებენ? ისინი ხომ მზად არიან თავიანთ პარტიულ ინტერესებისთვის დაივიწყონ სინდისიცა და უბრალო პოლიტიკური ეთიკაც. საარჩევნო ჟინით დამთვრალ სოციალ-დემოკრატებისთვის არ არსებობს საზღვარი და ზომიერება.

სინანლელები, თუ გამარჯვება უნდათ, ყველაფერს უნდა მოელოდნენ მათგან და წინდაწინვე საჭირო ზომები მიიღონ. დღეს ძალთა განწყობილება ისეთია, რომ რამდენიმე ხმამ შეიძლება გადასწყვიტოს, მეოთხე სათათბიროში კვლავ ეროვნულ იდეალის უარის-მყოფელი კანდიდატი წავა, თუ სხვა ვინმე. საქართველომ სოციალ-დემოკრატებისაკენ პირი იბრუნა. ქუთაისის გუბერნიაში, სადაც მათ ყოველთვის მეტი გავლენა ჰქონდათ ხოლმე, ძალები შუაზე გაიყო. ტფილისის გუბერნიაშიაც, თუ იმარჯვებდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთის მხრით, მათი იდეური მოწინააღმდეგენი საკმაო საარჩევნო ენერგიას ვერ იჩენდნენ და, მეორის მხრით, ბლოკით შეეკვრნენ სომხების ნაციონალისტურ პარტიას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ არჩევნების დროს სოციალ-დემოკრატები ყოველნაირ ხრიკებით და ხშირად არა საკადრის საშუალებებით იბრძოდნენ. ყველა ამას თუ მივიღებთ მხედველობაში, დავრწმუნდებით, რომ სინანლელებს სასურველ კანდიდატის გასაყვანად ენერგიის გაძლიერება დასჭირდებათ.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ ნამესტნიკის კანცელარიამ ქალაქის გამგეობას აცნობა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეუძლებლად სცნო, ტფილისში საავადმყოფოებს ქალაქის სასარგებლოდ გადასახადი დაედოს.

✦ გუშინ, ღამით ეანდარმთა განყოფილების განკარგულებით გაჩხრიკეს და დააპატიმრეს ქალაქის ამომრჩევლად არჩეული ნაფ. ვექილის თანაშემწე ა. გ. ბებურიშვილი; დაპატიმრეს აგრედვე ქალაქის თვითმართველობის მსახური ა. ლანდია და როსლინი.

✦ ორშაბათს 8 ღვინობისთვეს, გაჩხრიკეს და დააპატიმრეს **ბაგრატ მიკურტუმოვი,** მუშათა კურიის ამომრჩეველთა რწმუნებული.

✦ ტფ. გუბერნატორის განკარგულებით ქალაქის იურისკონსულტის თანაშემწე **კოწია ჯაფარიძე** ისევ დასტოვეს ამ თანამდებობაზე.

✦ ხვალ, 11 ოქტომბერს საღამოს 7 ნახ. საათზე, მოხდება ტფილისის საბირჟო კომიტეტის კრება; განიხილავენ საკითხებს 1) თავისუფალ სახაზინო მიწების მორწყვის საქმეში კერძო ინიციატივის საჭიროება; ეს მოხსენება ბამბის მრეწველთა მომავალ კრებისათვის არის დამზადებული; 2) საბირჟო და სამრეწველო წარმომადგენელთა მეორე კრება და სხვა.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრომ სახელმწიფო ხაზინიდან დაუნიშნა პენსია 600 მან. წლიურად სოფ. ქვემო-მაჩხაანის მამასახლისის ვასილ მენთეშაშვილის დედასა და შვილს.

✦ რედაქციამ მიიღო სამეურნეო ჟურნალ „მოსავლის" მორიგი ნომერი. ნომერი ჩვეულებრივ შინაარსიანია. შიგ მოთავსებულია წერილები: 1) ვ. რცხილაძისა „რუსეთის ერობა და მათი მოღვაწეობა მეურნეობის მიმართ". 2) პროფ. ვ. პეტრიაშვილისა, „ღვინის დაყენება და შენახვა და სხვა.

✦ ტფ. ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა განიზრახა მოიწვიოს საბჭოს ყველა კომისია და შეერთებული კრება გამართოს, რომელმაც რომანოვების მეფობის 300 წლის შესრულების აღსანიშნავ დღესასწაულზე დასასწრები გეგმა უნდა შეიმუშაოს.

✦ **მიწის-ძვრა.** ორშაბათს, 8 ოქტომბერს, ღამის 11 საათ. და 5 წ. ქალაქის მამადავითის მხარეს მიწისძვრა იყო, რომელიც სამ წამს გაგრძელდა.

✦ ტფ. ვუბერნატორმა ქალაქის გამგეობას წინადადება მისცა დაუყონებლივ მიიღოს ზომები მეყვეში ქუჩისა და მესხიევის კუთხეში მყოფ სიბინძურის არხის გასაწმენდად, საიდანაც ძლიერ ცუდი სუნი ვრცელდება და აწუხებს ახლო მახლო მცხოვრებლებს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ ამ დღეებში **ტფ. ქართველ სამღვდელოების კრება** მოხდა გორის ეპისკოპოს ანტონის თავჯდომარეობით. კრებამ განიხილა საკითხი ქართველ მისიონერის თანამდებობის დაარსების შესახებ. ზოგიერთმა წევრმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ქართველი მისიონერი აუცილებლად საჭიროა ხევსურეთში, რათა ებრძოლოს სხვა და სხვა სექტანტურ მიდრეკილებას. კრებამ მისიონერის მოწვევა საჭიროდ არ იცნო, რადგანაც ქართველ ხალხში სექტანტური მიდრეკილება არ არსებობსო.

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება ორშაბათს, 8 ოქტომბერს მოხდა ა. ი. ხატისოვის თავჯდომარეობით. კრებამ მოისმინა განცხადება ხმოსნის მანუელიანცისა, რომელმაც საფინანსო კომისიის წევრობას თავი დაანება. საბჭომ დაადგინა, მანუელიანცის მაგივრად სხვა აღარავინ აირჩიოს, რადგანაც ამ კომისიის წევრთა რიცხვი ისედაც საკმაოა. შემდეგ წაიკითხეს და დაამტკიცეს წესიერ დასვენების წესები, რომელიც საგანგებოდ არჩეულმა კომისიამ შეიმუშავა. წესებში ბევრი ცვლილებაა შეტანილი და მეტს უფლებას ანიჭებს ვაჭრებს, ვიდრე წინანდელი წესები. ამ ახალმა პროექტმა დიდი უკმაყოფილება და აურზაური გამოიწვია ნოქართა შორის, რომელთაც საბჭოს დარბაზში მრავლად მოეყარათ თავი.

✦ დღეს, 10 ოქტომბერს, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების საგუბერნიო კომისიის კრებაა, რომელიც განიხილავს სამაზრო კომისიის დადგენილებას არჩევნების საქმის წარმოების შესახებ.

სასწავლებლებში.

✦ ტფ. ქალთა უმაღლეს კურსებზე, ხვალ 11 ოქტომბერს, დამსახურებული ორდინალური პროფესორი, აკადემიკი მ. ს. სუბატიანი ანატომიის შესახებ შესავალ ლექციას წაიკითხავს.

ქუთაისი

✦ გუშინწინ სოფ. დილიკაურში დღისით დიდი სროლა ამტყდარა. პოლიციის დარაჯებს ცნობა მიუღიათ, ლაბაძე თავის მომხრეებით ამ სოფელში იმყოფებაო. დღისით წამოსულა რამდენიმე დარაჯი, შეხვედრია ამ ყაჩაღებს, (სამს) ორი მათგანი დაუჭრიათ — მაქავარიანი და ერთიც სხვა—და დაუტყვევებიათ; თვითონ ლაბაძე გაქცეულა.

✦ კნეინა ელისაბედ წერეთლისა 21 ოქტომბერს, ქალთა ადგილობრივ სკოლის სასარგებლოდ სეირნობას ჰპირდებოდა დ. საჩხერეში.

✦ ხონი. წარსულ კვირას ადგილობრივ ელექტრო-თეატრში აკაკის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის სურათებს აჩვენებდნენ, ხალხი ბლომად ესწრებოდა.

✦ ხონის ვაჟთა პროგიმნაზიის მეექვსე კლასში 2 ოქტომბრიდან სწავლა უკვე დაიწყო. ამ კლასში მოწაფეთა რიცხვი ძალიან ცოტაა.

✦ ხონში მოწამეთობა არც ერთ სასწავლებელს არ უდღესასწაულნია.

✦ ქუთაისის დრამატიული საზოგადოების გამგეობამ ა. სუმბათაშვილს დეპეშა გაუგზავნა და აცნობა, სეზონი თქვენი პიესით „ლალატით“ გავხსენითო. სუმბათაშვილს დრამატიულ საზოგადოებისათვის სამადლობელი დეპეშა გამოუგზავნია.

„იმერეთი“.

თ ე ლ ა ვ ი

✦ ადგილ „ვანთის ბოლოში“ ვასილ კირვალიძეს უცნობებმა ცხვარი მოჰპარეს. ძებნის დროს კირვალიძემ ცხვარი იპოვა ტყეში ხეზე მიბმული. კირვალიძე ქურდებს ამავ ადგილს ჩაუსაფრდა და როდესაც ქურდები მართლაც მოვიდნენ, დაუძახა: „არ დიიძრათ, თორემ დაგხოცავთო“. ქურდები გაიქცნენ და კირვალიძემ თოფი ესროლა. იქვე მოჰკლა ერთი, რომელიც აღმოჩნდა ივანე ესიტაშვილი, მეორე კი—ნიკოლოზ ბერნაძე მიიმალა.

სოფლად

✦ **გორის მაზრა.** ს. ხეობაში გაუფრთხილებლობის გამო გადაიწვა სამი სახლი ბიძე, ვანო და მიხა გაბარაშვილებისა. ზარალი 750 მანეთს აღემატება.

✦ **ბორჩალოს მაზრა.** სოფ. შინიხში ქმრის შინ არ ყოფნის დროს უცნობმა ბოროტგამზრახველმა მოჰკლეს ზალო ამირჯანოვისა.

დ ე პ ე შ ა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ს ი ღ ნ ა ღ ი

ქალაქის არჩევნები კომისიამ უკანონოდ იცნო. არჩევნები ხელ-ახლად მოხდება.

არჩევნების გარშემო

ქ უ თ ა ი ს ი.

ეს მეორედ ირჩევს დასავლეთი საქართველო წარმომადგენელს სახელმწიფო სათათბიროში, და არ გვახსოვს, იმდენი განსაჩივრება არჩევნებისა მომხდარიყოს, როგორც ეხლა, მხოლოდ რაჭისა და ზუგდიდის მაზრაში არ დარღვეულა ერთხელ მომხდარი არჩევნები, თორემ სხვა ისეთი მაზრა არ არის, რომ ორჯელ და სამჯერ არ მომხდარიყოს არჩევნები. განსაჩივრების ხანა დაიწყო ვლადიმერ მიქელაძის დღე მოკლე პარტიის და ბანკის იურისკონსულტად ნამყოფმა პავლე ჩხეიძემ, რომელმაც თავი რომ უძლურად იგრძნო, ღელოს გატანა განსაჩივრებითა და სხვა ამ გვარი საშუალებით მოინდომა. მის და ვლ. მიქელაძის სავალალოდ ვერც ამან გასჭრა და მიქელაძე განშორდა ბრძოლის ასპარეზს. კმაყოფილია მარტო პავლე ჩხეიძე — მას ამოქმედებდა არა მიქელაძის გამარჯვება ან რაიმე საზოგადოებრივი ინტერესი, არამედ ის, რომ კიტა აბაშიძისათვის ხელი შეეშალა; ხოლო ისეთი სურვილი და წყურვილი იქიდან წარმომდინარეობს, მისი ბანკიდან გაძევების მიზეზი კიტა აბაშიძე იყო და ეხლა ვითომ სამაგიეროს უხდის.

როგორცა ვთქვი, პ. ჩხეიძემ განსაჩივრების ხანა დაიწყო და ეხლა ირკვევა, რომ ქალაქის არჩევნებსაც ასაჩივრებენ და საბუთად თურმე შემდეგი მოჰყავთ: კანონით პირადი განცხადება ამომრჩეველთ უნდა გაეგზავნოთ არჩევნების დღის ერთი კვირის წინად; ნამდვილად კი შორაპნის მაზრისა და რაჭა-ლეჩხუმის ამომრჩევლებს იგი დაგვიანებით მიჰსვლიათ. გარდა ამისა სოფლის მამასახლისებს პირადი განცხადების კუპონები მოუხევიათ და თავისთან დაუტოვებიათ. ამის გამო ბევრს ქუთაისში მოსულ ამომრჩეველს ხმის უფლება დაჰკარგვია. აქ დასახელებულსა და სხვა მრავალ წვრილმალ მიზეზებს საბუთი მიუცია ამომრჩეველთა ერთ ჯგუფისთვის ქალაქის არჩევნების განსაჩივრებისათვის და შესაფერი საჩივარიც წარუდგინა ქუთაისის მაზრის საარჩევნო კომისიისათვის.

ამ საჩივარში, როგორც გადმოგვცეს, ისიც არის თურმე აღნიშნული, რომ სენატის განმარტებით ნადეპუტატარ გეგეჭკორს ამომრჩევლობაზე კენჭი სენაკის მაზრაში უნდა ეყარა და არა ქუთაისშიო. და ამ მხრივაც უკანონოდ მიაჩნიათ თურმე ქუთაისის არჩევნები.

რით გათავდება ეს განსაჩივრება, ძნელი სათქმელია, მაგრამ თუ საარჩევნო კომისიამ შეიწყნარა საჩივარი და ქუთაისში კვლავ მოხდა არჩევანი, ბრძოლა ორ პარტიათა შორის სასტიკი იქნება.

ბ ა თ ო მ ი.

რუსთა კურიის ქალაქის რწმუნებულების კრებაზე ქალაქის ამომრჩევლებად აირჩიეს ბათომის ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი ექიმი ს. ს. სოლოვკინი, მართლმადიდებელი, უპარტიო, 42 წლისა. რადგანაც დანარჩენმა კანდიდატებმა ნახევარზე ნაკლები ხმები მიიღეს, ბათომის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა სახ. სათ. არჩევნების კანონის 106 მუხლის ძალით 8 ოქტომბერს დანიშნა დამატებითი არჩევნები. ბათომის ოლქში მცხოვრებ რუსის სოფლის რწმუნებულთა კრება არ შესდგა.

კაიტაგო ბატაბასარანის ოლქის რუსთა კურიის რწმუნებულთა კრება ქ. დერბენტში მოხდა. ამომრჩევლებად აირჩიეს: ნაფიცი ვექილი მ. რ. პოლეტიკა, უპარტიო, ვ. ლ. ალექსანდროვი, უპარტიო პროგრესისტი და სოფლის ყრილობისაგან მღვდელი მრალევიჩი, მემარჯვენე.

ჩვენი საზოგადოების საყურადღებოდ

(წერილი რედაქციის მიმართ).

ნუ თუ რომელსამე ქართველს მოუვიდოდა აზრად—მოსწრებულიყო იმ დროს, როდესაც დაუვიწყარ სამაგალითო სამშობლო შვილის—დავით სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ, მისი უკვდავი ანდერძი „სუდის“ ამარად გახდებოდა. განა ერთის მხრივ არ ედება ამის ბრალი ჩვენი საზოგადოების გულგრილობას, მის საქმის დაუდვრობას და უმადურობას? აბა თუ ვინმემ მიაქცია ყურადღება, დაუკვირდა და გამოსთქვა სურვილი მხარის დაუჭერლად დაეხასიათებინა ჩვენთვის ის უთანხმოება, რომელიც ასტყდა პატივცემულ დავითის მეუღლის და დანარჩენ მემკვიდრეების შორის. ამ უთანხმოებას არა აქვს კერძო ხასიათი, იგი საზოგადოებრივია და ამიტომაც ჩვენს საზოგადოებას უნდა თავისი აზრი გამოეთქვა.

ყველამ კარგად იცის დავით სარაჯიშვილის ანდერძის შინაარსი; ყველასათვის ნათლადაა, რომ ეს უკვდავი ადამიანი, როგორც თავის სიცოცხლის დროს, მხოლოდ თავის ერისათვის იყო თავ-გადადებული, მხოლოდ მისის ბედნიერებისათვისა და წარმატებისათვის ზრუნავდა და საერთო მამა იყო ყველა გაჭირვებულ ქართველისა, ისე სიკვდილის შემდეგ უნდოდა მას არ მოეკლო ეს ზრუნვა თვისის ერისათვის და ყველა საუკეთესო საქმისათვის ხელი გაეშვირა. თავისის გონივრულ და შორ გამჭრიახი სურვილით მან დაუმტკიცა თავის მშობელ ერს თვისი საუკეთესო შვილობა. მან დაუტოვა ქართველ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, როგორც გაგებულია 300,0000 მანეთი (აქედან 150,000 მანეთი ქართულ მუზეუმის აშენებისა-მოწყობისათვის), თავის ქარხნის მუშებ-მოსამსახურეთ 125,000, ტფილისის პირველ გიმნაზიას 10,000 მან. ტ სემინარიას 5,000 მანეთი. გარდა ამისა როგორც ტფილისის მოქალაქემ, მან არ დასტოვა თავისი დედა-ქალაქიც უყურადღებოდ. პატივცემულმა გამოუთქვა თავის მეუღლეს ეკატერინეს სურვილი, გადაეცა ქალაქ ტფილისისათვის თავისი მშვენივრად შემკული სასახლე სურათების და სამრეწველო-ნამუშავარის სამუზეუმოდ. განა ამ სამაგალითო ანდერძს შეიძლება სხვა სახელი დავარქვათ თუ არა დიდებული, კულტურული, საზოგადოებრივი და სამშობლოს სიყვარულით აღსავსე. განურჩევლად ერებისა ყველა თავს იხრის მისის უკვდავის კვალის წინაშე... დაობლებული ეკატერინე ივანეს ასულს დარჩა ერთად ერთი ნუგეში, ერთად ერთი ცხოვრების ნაპერწკალი—ეს, მოეყვანა სისრულეში თავის მოსიყვარულეს და დაუვიწყარ დავითის ანდერძი და მართლაც მიუხედავად თვისის მძიმე ავადმყოფობისა მთელის ენერგიით და ჯანით შეუდგა მის განხორციელებას. ვინც იცნობდა დავით ზაქარის ძეს თავის ეკატერინეთი, მათ მუდმივ ჰარმონიულ ცხოვრების და პირდაპირ საგანგებო ცოლ-ქმრობის კავშირს, იგი დარწმუნებულიც იყო, რომ ეკატერინე ივანეს ასულში მან დასტოვ ღირსებული შემასრულებელი თვისის ანდერძისა.

მაშ რა ამბავია, რომ ეს უკვდავი ანდერძი დღეს სასამართლოში გადადის. ვინ შეუშალა ხელი ამ პატივცემულ ადამიანს მის შესრულებაში? თურმე არ მოეწონათ დანარჩენ ზოგ მემკვიდრეებს სასახლის ტფილისისათვის გადაცემა—ამ დიდებულ აზრის განხორციელება. (მეტად ვსთვლი განვმარტო განსვენებულის სურვილის მნიშვნელობა მათ, რომელნიც თავდაპირველად დაუფიქრებლობის გამო ვერ მიუხვდნენ ამ ანდერძის ნაწილის ღრმა აზრს და კრიტიკით შეჰმოსეს). რადგან ეს სასახლე მამა-პაპეულ ადგილ-მიწაზედ არის აშენებული და ანდერძის ძალით მთელი მამა-პაპეული ქონება დავით სარაჯიშვილის დებსა და მათ შვილებზედ უნდა გადასულიყო, ამიტომ განსვენებულმა აღუთქვა თავის მეუღლეს ამ ადგილის ნაცვლად გადაეცა მემკვიდრეებისათვის 100,000 მანეთი (ერთობლად დაფასებული). ამით ისინი არ კმაყოფილდებოდნენ და არ უნდოდათ სასახლის დანებება. ეკატერინე ივანეს ასულმა ყოველი ღონისძიება იხმარა დაეკმაყოფილებინა მომდურავნი და როგორც ზოგსაც აქვს გაგონილი 50 თუ 60,000 მანეთს ზედ მეტს აძლევდა, მაგრამ მაინც ამაოდ. ამ ამბავმა იქამდის მიიყვანა და გაამწვავა მგლოვიარე ადამიანი, რომ იძულებული გახდა, რაკი მოპირდაპირენი არ თანხმდებოდნენ მშვიდობიანად საქმის გათავებას, სასამართლოსთვის მიემართა და მოეთხოვა თავის მხრიდანაც ამ შემთხვევაში მეშვიდედი ქმრის მთელს ქონებისა, როგორც ეს ჩვეულებრივი კანონია. ამით მთელი საძირკველი ამ წმინდა ანდერძისა ირყევა და იმ ადამიანის სურვილი, რომელიც მთელი თავის სიცოცხლე მტკიცედ ადგა თავის გზას, მტკიცედ ემსახურებოდა თავის საქმეს, სამშობლოს საამაყოდ, მის განსვენების შემდეგ, მისივე მახლობლებისვე წყალობით ეს სურვილი შეუსრულებელი რჩება.

ნუ თუ გულგრილად უნდა უცქეროდეს ჩვენი საზოგადოება ამ სასირცხვილო ამბავს, ნუ თუ არ უნდა სცდილობდეს მხარი დაუჭიროს მას, ვინც მიისწრაფის ამ სამაგალითო ქართველის საქმის გაგრძელებას, მისის წმინდათა წმინდის შესრულებას. ვინ იცის საზოგადოებას რომ თავისი აზრი გამოეთქვა, ამ საქმეს ამისთანა მიმმართულება არ მიეღო და ვერც გაებედნათ დიდ მოამაგის სურვილის წინააღმდეგ წასვლა.

თითქოს ჰგრძნობდა ამას ეკვიანი დავით ზაქარიას ძე, როდესაც ბერლინში უკანასკნელ უნუგეშო მდგომარეობის დროს გვიმეორებდა მის გვერდით დამსწრეთ: „ეჰ, მე მხოლოდ ეს საცოდავი დედაკაცი — ჩემი კატო მებრალება, სხვა არავინო“ არ უმტყუნა ამ აზრმაც; საქართველოს დაუტოვა თვისი ძვირფასი მეუღლე, მისი საქმე გაეგრძელებინა და მას კი გადაუდგნენ სწორედ ისინი, რომლებისთვისაც ის არაფერს ზოგავდა და რომლებისაც „მისი სიტყვა—კანონი იყო“, როგორც თვითონ ამბობდა. სად არის ჩვენი საზოგადოების ხმა, სად არის მისი მორალური დახმარება?...

გიორგი მაჩაბელი.

ბერლინი. ოქტომბერი 1912.

p. s. ვთხოვ დანარჩენ ქართულ გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი.

გ. მ.

სიძვლეთა აღმოჩენა პახეთში

მოგეხსენებათ ჩვენი სამშობლო და მათ შორის კახეთი დაუშრეტელ არქეოლოგიურ ნაშთების სალაროს წარმოადგენს, თითქმის ყოველ სოფელში, მინდვრად თუ მთაში ყველგან გხვდებათ ასეთი შესანიშნავი განძი, ძვირფასი მასალა ჩვენი წარსულის შესასწავლად და უტყუვი მოწამე იმ აყვავებულ ხანისა, რომელსაც ეკუთვნის იგი. ეს, რაც თვალითა ჩანს, რასაც ადამიანის თვალი ძალა უნებურად ყურადღებას აქცევს და თუ უმეტესი მათგანი არა, უმცირესი მაინც შესწავლილია, მხოლოდ რაც მიწაშია ჩაფლული და რაც უფრო უძვირფასეს განძს უნდა შეადგენდეს, ეს მკვლევარ-მეცნიერებამდე იშვიათად ახწევს, რადგანაც ასეთ ნაშთს თუ წაწყდება ვინმე მიწის დამუშავების დროს—ეს ჩვენი სოფლელი, რომელიც რაც ფასიანია გაჰყიდის, რაც არა და მიწაშივე ჰტოვებს.

სწორედ შარშან ივლისში ს. მატანში, ერთ გლეხს კალოს თხრის დროს აღმოეჩინა ადამიანის და ცხენის ძვლები ერთად დამარხული, იქვე ცხენის სამკაული და სხვა და სხვა ოქროს ნივთები, ეს ნივთები თელავში ჩამოიტანა და აქაურ ოქრომჭედელს 60 მან. მიჰყიდა.

ეხლა-კიდევ ერთ საყურადღებო ამბავს გვატყობინებს სოფ. შილდიდან (თელავის მაზრ.) დეკანოზი მ. მირიანაშვილი, მომყავს წერილის შინაარსი: „ს. შილდაში ერთ გორაკზე „ბოტიგორაზე“ მაღლა გამოჩნდა სახნავ ქვეშ მიწაში თლილქვით აშენებული თაღ გადაქნილი ოთახი, სიგრძე ექვსი არშინი აქვს, სიგანე—ოთხი, შიგ ტახტები ქვისა და მიცვალებულთა ძვლები, ოთახში კანდელი იყო ჩამოკიდებული, რომელიც წაიღეს. ურიგო არ იქნება თუ ვინმე არქეოლოგიის წევრი არის მოეშველოს, იქნება სხვაც აღმოაჩინონო“.

ვინ იცის ეს აღმოჩენა რა ძვირფას მასალას წარმოადგენს მკვლევართათვის და ცოდვა იქნება მისი უყურადღებოდ დატოვება. კარგი იქნება ჩვენმა ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამ მაინც მიაქციოს ყურადღება.

დავიწყებული.

ბათომის ავ-პარგი

ბათომში მართლმადიდებელ რუსებს და ქართველებს აქვთ საერთო ტაძარი, რომელშიაც წირვა-ლოცვა სრულდება **სლავიანურად**. ბათუმის ქართველები, რომელთ რიცხვი 15-ათასამდის იქნება, მოკლებულნი არიან სამშობლო ენაზე ღვთის ვედრებას... ქართველები ამ ნაკლს გრძნობენ ბათუმში და 18 წელიწადია რაც ეკლესიას აშენებენ და დღემდის ვერ აღუშენებიათ. [illegible] ეკლესიის დამთავრებას. [illegible] ათასი მანეთი [illegible] ბოლოს [illegible] მთავრებლობას მეზობლები ქართველების უთაურობას აწერენ. ბერძნებს საკუთარი ეკლესია აქვთ და საკუთარი მღვდელი ჰყავთ... ქართველი მაჰმადიანები გაკვირებული არიან, იმის გამო, თუ ქართველ ქრისტიანებს რატომ ქართულ „გურჯულ“ ანუ როგორც ისინი უწოდებენ „თამარის ენაზე არ აქვს წირვა-ლოცვა... ქართველ-ფრანგებს ანუ-გეშებს ზუბალაშვილის მიერ აშენებული უზარ-მაზარი ტაძარი... მართლაც, სირცხვილია, რომ დღემდის ქართველებმა ქართული ეკლესიის აშენება ვერ მოახერხეს!! მაგრამ სხვაში რაში გვაქვს ხეირი?! ქართული სასწავლებელია, და დღეს ისიც სულს ღაფავს... ვინ იცის, რა ბედი მოელის უსახსრობის გამო?! ქართულს ეკლესიას აქვს ფართო ადგილი, ძვირფასი, შუაგულს ქალაქში, რომელზედაც გამოჭიმული აქვს თვალი ბათუმის **კორორტულს** საზოგადოებას: მას ჰსურს, თურმე ჩამოუჭრან ამ ადგილის ნაწილი ბავშვების სათამაშოდ!! ქართველს საზოგადოებას კი სურს თუ ეკლესიის დამთავრებას ეღირსა, ეკლესიასთან საეკლესიო-სამრევლო სკოლა გახსნას. აწინდელ ბათუმის საეკლესიო-სამრევლო სკოლაში **ქართველ ბავშვებს არ იღებენ**... მასში სწავლობენ მხოლოდ რუსთა ბავშვები... ასე ამ სახით ქართველი მრევლი ყოვლის გზით დაჩაგრულად სთვლის თავს ბათუმში. ასეთს გარემოებას უსათუოდ ბოლო უნდა მოეღოს... მაგრამ ბოლო კი არ ეღება... ჩამოდიან ტფილისიდან და სხვა ადგილებიდამ ქართველები (მოწინავე პირნიც კი), გაივლ-გამოივლიან ბათუმში, დასტკბებიან მისი აღუწერელი სილამაზის ცქერით, მისი ფიქრთა მორევში გადამტყორცნ შავი ზღვით დანაყრდებიან სასტუმროებში და უკანვე გზას გაუდგებიან... არავის ფიქრადაც არ მოუვა აუწყოს მთელს ჩვენს სამშობლოს და მის შვილთ ის უმთავრესი ნაკლნი, რომლითაც ბათუმის ქართველთა ცხოვრებაა მოცული... აი სად სჩანს ჩვენი „კაბინეთობა“, ჩვენი სიტყვიერი მამულისშვილობა. რა წამალი უნდა დასდოთ ბათომის ქართველთა ამ ერთს ნაკლთაგანს?! რა საშუალებით უნდა დამთავრდეს ბათომის ქართული ტაძარი, რომ მის წიაღში გაჩაღდეს ტკბილ ქართულს ენაზე წირვა-ლოცვა და ღაღადისი?! **ძლიერ ადვილია ამ საშუალების გამოძებნა**... როგორც ვიცით, გურია-სამეგრელოსა და იმერეთის ეპარქიაში ირიცხება 900 შტატის ეკლესიაზე მეტი... თითოეულმა შტატმა ორთაშუა რიცხვით ოთხ მანეთიდამ ერთს თუმნამდის რომ გამოიღოს, შესდგება ის თანხა, რომლითაც ბათომის ქართული ეკლესია მალე დამთავრდება... თუ რამ ფული დარჩება აქედან, მოხმარდება ქა-

წერილები უცხოეთიდან

ათინა — ოლიმპია, 14—23 ივლისი.

(შემდეგი *)

ჰერმესის ნახვამ კიდევ ერთი ესთეთიური დებულება წამომიყენა:

უდიადეს ნაწარმოების შესაქმნელად გენიოსი და დიდი ხელოვანი ხმაროობს უფრო მარტივ, უფრო სადა ხერხს, ფორმას. მართლაც დედამიწაზე არ მოიპოვება უფრო უბრალო მასალა როგორც ქვა, მარმარილო. და სწორედ ქვისა და მახვილის წყალობით პრაქსიტელმა შეჰქმნა საუკეთესო, ჯერედ მიუწდომელი, ნაშთი ხელოვნებისა: ყოველის მხრივ შეუდარებელი, როგორც გარეგნობით, ფორმით, ისე აზრით, შინაარსით. დედამიწაზე არ მოიძებნება ნაწარმოები, რომელიც უფრო მეტს გრძნობებსა და აზრს უღვიძებდეს კაცს, უფრო დიდ სიტკბოსა და ნეტარებას ანიჭებდეს. ის, რისი გამოხატვისთვისაც ჰამლეტს ათასგვარი დახლართული მსჯელობა სჭირია და ფაუსტს მთელი ფილოსოფია და მითოლოგია, აქ ერთს მოხაზულობაშია გამოხატული და მთელი სიმფონია ცხოვრების ფილოსოფიისა ქვის ნაკვეთშია ჩამოსხმული: თითქმის შეუმჩნეველის სევდის აჩრდილი, თითქმის უხილავი ღიმილი და მთლად კი მთელი კობინაცია ცხოვრების მრავალფეროვნებისა, მისი წარსულის კრიტიკა და ისტორია, მისი აწმყოს განცხადება, მისი მომავალის წინასწარმეტყველება. პრაქსიტელის ჰერმესი ჩემის აზრით უშრეტი წყაროა ხელოვნებისა, მისი გავლენა ნებსითი, თუ უნებლიეთი ხილული, თუ უხილავი ამჩნევია ყოველ დიდ ნაწარმოებს, ყოველ დიდ ქმნილებას. მისი ღვთაებრივობა, მისი დიდებულება თავისთავად იმდენად ძლიერია, იმდენად უსაზღვრო, როგორც ცხოვრება, და რომელი ხელოვნური შემოქმედებაც ცოტად თუ ბევრად მას არ მიახლოვებია, მას ხელოვნურ ნაწარმოებს ვერ დავარქმევთ. მთელი განახლების ეპოქა პრაქსიტელის ესთეთიურის მოძღვრების აღორძინება და აღდგომაა. როცა პრაქსიტელზე გელაპარაკები, რასაკვირველია ელლინთა ხელოვნების საუკეთესო მომენტს ვგულისხმობ, თორემ თვით პრაქსიტელის უკვდავი ერთადერთი ორიგინალი 1877-შია ნაპოვნი. დიდი იყო ფიდიასიც. ხოლო ფიდიასის ხელოვნებაში ჯანსაღი და მშვენიერი ხორცი სჭარბობს, იქ სევდას ადგილი არა აქვს, დაფიქრებისათვის არავისა სცალიან. ფიდიასს ძლევამოსილი გმირები ჰყავს გამოქანდაკებული, ლამაზის სხეულის ნაკვთები გამოსკვივს თვით სამოსელშიაც კი, რომლითაც იგი ჩვეულებრივად მოსავდა თავის სტატუებს. ესდენ ძლიერი იყო მშვენიერის სხეულის სხივი, რომ მა. ვერ იქერდა ვერაფერი საფარველი. ამიტომაც ფიდიასსა და მის სკოლის ხელოვანთ ტანთსაცმელი იმდენად აინტერესებდათ, რამდენადაც იგი სხეულის სიმშვენიერის მოხაზულობას ნათელს ჰყოფდა.

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 791

პრაქსიტელმა თავისი ჰერმესები და ვენერები გაატიტვლა და მათი სინაზით აღვსილი სიტურფე თვალწინ დაგვიყენა, ესდენ სათუთ ხორცისათვის სამოსელი თითქო ცივ სუდარად მიაჩნდა, მათ ფაქიზ სხეულის სამოსელი თითქო ნაოქებით აღბეჭდა და ერთგვარ ტკივილს მიანიჭებდა. ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ პრაქსიტელის გმირები ძალღონით სავსენი არ იყვნენ. წინააღმდეგ მათი ღონიერება როდი ჩამოუვარდებოდა ფიდიასის გმირთა ღონიერებასა, მაგრამ პრაქსიტელის შექმნილ არსებათა ძლიერება და ღონე შეხამებული ჰქონდათ მომხიბვლელ სინაზესთან და ორივეს ამას აგვირგვინებდა გონებისა და გრძნობის სიფაქიზე, ნაზ გრძნობიერება ყოველგვარ მოვლენას სავსებით განიცდიდა და უცნაურად აღბეჭდდა ხოლმე თავის სახეზე. ფიდიასის გმირები თუ ელლინთა საგმირო ეპოქის მკვიდრი შვილები იყვნენ და ამ ეპოქის სრული განსახებანი; პრაქსიტელის ღმერთებს წარსული განცდილი ჰქონდათ და მომავალში იყურებოდნენ; აწმყოთი გულ-დამწვარნი, მომავლის წინასწარმეტყველობით ირთობდნენ თავსა. პრაქსიტელი გამომხატველია კაკობრიობის კულტურის უმაღლესის საფეხურისა, როცა გონება გამახვილებულია, გრძნობა მეტად აშლილი და ხორცი სილმაზის უმწვერვალესობამდის მისული. ფიდიასი იმ ეპოქას გვიხატავდა, როცა გონებას თავისი უკანასკნელი ნაბიჯი ჯერ კიდევ არ გადაედგა, გონება ჯერ კიდევ ფიზიკურ ძლიერების, თუ მონა არა, უმცროსი ძმა იყო. ამ დროს გრძნობა მაღალი იყო, მაგრამ, თუ ცალმხრივი არ ეთქმის, უფრო მარტივი იყო, გართულებული არ იყო. ერთავად მხიარული და ბედნიერი გმირი და რაინდი ცხოვრების სარჩულს გვერდს უვლიდა, დღეინდელობის ქვეშ დამარხულ საფლავის ჭიას ყურადღებას არ აქცევდა. მისი ხორცი საოცრად და საგლადიატორო სავარჯიშოდ იყო განმზადებული, ამიტომ სიმშვენიერესთან ერთად სიმკაცრე იყო შეზავებული, და სინაზე-სიფაქიზეს თუ ადგილი ჰქონდა, ისიც მეორე ხარისხოვანი.

ფიდიასი საბერძნეთის უბედნიერეს დღეების მოწამე იყო. საბერძნეთმა სპარსეთი სძლია და ელლინთა კულტურულმა ძალებმა განვითარების უდიადეს წერტილამდე მიაღწია.

პრაქსიტელი საბერძნეთის დაცემის ხანის შვილი იყო. ფილიპპე მაკედონელმა საბერძნეთი პოლიტიკურად დაამარცხა და ელლინთა საზოგადოებრივი ცხოვრება უფსკრულისაკენ დაექანა. ამ დროის მემატიანეა პრაქსიტელი. მის ღმერთთა სახის უცნაური სევდის აჩრდილი ამ ეპოქის ნაკარნახევი იყო. მაგრამ მისი ღვთაებრივი გენიოსობა მომავლს ღიმილით უყურებდა და ეს უკვდავი, მომჯადოებელი, ღიმილი სევდასთან ერთად განუყრელად აისკროვნებს მის შემოქმედებასაც.

პრაქსიტელის ხელოვნების განხორციელებას მისდევდა განახლების ეპოქა. სამი-ოთხი საუკუნე მოანდომა ადამიანმა იმას, რომ რაიმენაირად კისრიდან მოეძრო ბიზანტიის უღელი და ელლინურ-ხელოვნების სიმშვენიერე მკვდრეთით აღედგინა.

რაფაელმა და მიქელ-ანჯელომ მიაღწიეს ამ იდეალს და პრაქსიტელის მიერ ნაჩვენებ გზაზე სიარული შესძლეს.

ჩვენმა რუსთველმა, იტალიის რენესანზე სამი-ოთხი საუკუნით წინ, შესძლო ელლინიზმის განხორციელება უკვდავ ნაწერებში, რომელიც ერთი საუკეთესო გამომსახველია ელლინთა ესთეთიკის პრინციპებისა. ამით შეგვიძლიან თავიც მოგვქონდეს. ეხლა ვერც კი წარმოიდგენს კაცი, რომ იქნებ ჩვენ ყოველ დარგში რუსთველის სიმაღლემდის მივაღწევდით, რომ ათასის ჯურის და გვარის ხალხს არ გადაეთელნა ჩვენი ზურგი, არ გაეთელა ჩვენი მშვენიერი ქვეყანა და არ შეეშალა ხელი ჩვენის კულტურის კანონიერ განვითარებისათვის.—მაგრამ ამის თაობაზე კიდევ ვილაპარაკებთ.

ოლიმპიის მუზეუმში შესანიშნავი არის კიდევ სტატუა „გამარჯვებისა“, რომელიც ეკუთვნის V საუკუნის დამლევის ხელოვანს პენიოსს. ამგვარ გამარჯვების სტატუას შესწირავდნენ ხოლმე ზეკეს და სხვა ღვთაებას ბერძნები, რომელიმე ომში ან ოლიმპის ვარჯიშობაში გამარჯვების შემდეგ. ამ სტატუას ეხლა თავი სრულიად დასახიჩრებული აქვს, პირისახე მთლად ჩამოტეხილი, მაგრამ მარტო სხეულითაც გასაშტერებელ შთაბეჭდილებას ახდენს, ტანზე ლეჩაქის მსგავსი ქსოვილის ხიტონი (პერანგი) აცვია და სხეულის მომხიბვლველი სიმშვენიერე ნათლად გამოსჭვივის. სამოსელი არა თუ ხელს არ უშლის ხორცის ტურფა ნაკვთების გამოჩენას, თითქოს კიდევაც ხელს უწყობს. „გამარჯვება“ ციდან მოფრინავს. სამოსელი ერთ ადგილს გახსნილია და მარცხენა ნაწილი სხეულისა თითქმის მთლად ტიტველია და საუცხოვო მოხაზულობით გხიბლავთ. უთავო, დამახინჯებულ სტატუას აღტაცებაში მოჰყევხართ; რა იქმნებოდა, როცა თავი ჰქონდა? ეს სტატუა საუკეთესო ეპოქას ეკუთვნის (425 წ. ქრ. დაბადებამდე).

ფიდიასის სკოლასიან ის განსხვავება აქვს, რომ იქ უფრო სხვილ ნაქსოვსა ხმარობდნენ, აქ უკვე ნაქსოვი ძალზე გამსჭვირვალეა. თავის თავად ცხადია, რომ ასეთის სამოსელის შემდეგ სტატუის გაშიშვლებამდის ერთი ნაბიჯია. შიშველი სხეული ეს უკანასკნელი ნაბიჯია ელლინთა ხელოვნების განვითარებისა... და იქნებ ყოველ გვარის ხელოვნებისაც. როგორც გწერდი შიშველ სტატუებს არქაიულ ეპოქაშიაც ვხედავთ (არქაიული აპოლონები), მაგრამ იქ ხორცი რაღაც ტლანქია, უხეში, თითქოს მხეცი იყოს სქელ კანში გახვეული. აქ კი სხეული სიცოცხლითა თრთის, ყოველი ნაკვთი მოძრაობითა და გრძნობიერებით აღსავსეა. ფიდიასის და პრაქსიტელის სტატუებს და ბარელიეფებს რომ ჰხედავ გავიწყდება, რომ შენს წინ ცივი უსულო ქვა არის და ასე გგონია თვით უდიდესი სიცოცხლის ძალა გადმოსჩქეფს ამ ნახევრად შემოსილის, ზოგჯერ კი მთლად გაშიშვლებულ სხეულისაგანაო.

რთული საეკლესიო სამრევლო სკოლის აგებას, მხოლოდ საჭიროა, რომ ეს საკითხი მღვდლებმა აღძრან ორსავე ეპარქიის მომავალს კრებაზე ფოთში და ქუთაისში, რასაკვირველია, ყოვლად სამღვდელო ლეონიდის და გიორგის ნებართვით... იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბათუმის ქართული ტაძრის დამთავრებას ვეღირსებით ამ საშუალებით... თორემ ქართული ტაძრის დაუმთავრებლობა ბათომში არა ქართველთა შორის **ანდაზადაც** კი გადაიქცა... ქართველობა და ქართული ენა ბათომში არ გაძლიერდება, ქართულს წიგნს და გაზეთს გასავალი არ ექნება, უკეთუ მათს მოთხოვნილებას არ გააძლიერებენ ისეთი დაწესებულებანი, როგორნიც არიან თეატრი, ეკლესია, ქართული სკოლა, ლექციები და სხვა...

ქართული დახურულ გაზეთის გამოცემას კვლავ მალე შეუდგებიან. ქართულს თეატრს ვფიქრობ აქ მტკიცე საძირკველი ჩაუდგა ბ. შალვა დადიანმა, რომელიც ქართულს საქმეს თავისი ღვაწლით დიდს სამსახურს გაუწევს ძველს კოლხიდაში. დაგვრჩა ქართული ტაძარი... თუ ამასაც ეღირსა დამთავრება, მაშინ ქართველთა ეროვნული საქმე აქეთ მკვიდრ ნიადაგზე დადგება...

გვაქვს იმედი, რომ ჩვენი სამღვდელოება ამ ეკლესიის საკითხს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს და ბათუმის ქართველობას დახმარებას აღმოუჩენს.

ნებოძირელი.

ქართველ სტუდენტთა საყურადღებოდ

(წერილი რედაქციის მიმართ).

ვინც თვალ-ყურს ადევნებს ჩვენს პრესას, ეხსომება ამას წინად რომ მოვუწოდეთ მსურველთ მონაწილეობა მიეღოთ სტუდენტთა კრებულის გამოცემაში, რაც პეტერბურგის სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა განიზრახა. „სახალხო გაზეთში“ მოთავსებულ ცნობისა და შემდეგ კერძო წერილების პასუხად იმ დროებით ექვს უნივერსიტეტიდან და პარიზიდან თანაგრძნობის წერილები მოგვივიდა და დახმარებასაც გვპირდებოდნენ ამხანაგები. იმ დროებით სამოსწავლო წელიწადი მიწურული იყო, ახალგაზდობა საზაფხულოდ საქართველოში გაემგზავრა და ჩვენ ძიწერ-მოწერაც შესწყდა. ახლა ისევ შემოიკრიბება სტუდენტები საუნივერსიტეტო ქალაქებში და შესაძლებელიც გახდება იმ საქმის თაობაზე მიწერ-მოწერის განახლება. ვიმედოვნებთ, ამხანაგები. საქმითაც ისეთივე თანაგრძნობას და დახმარებას გაგვიწევენ, როგორც ჩვენს მოწოდებას შეხვდნენ გულმხურვალედ და თანაგრძნობით.

ვთხოვთ ამხანაგებს რომლებთანაც უკვე გვქონდა მიწერ-მოწერა და აგრეთვე ყოველგვარი ორგანიზაციებს თავიანთი მუდმივი (შედარებით) მისამართი დაუყონებლივ შეგვატყობინონ.

მასალების გზავნა და მიწერ-მოწერა შეიძლება სტუდენტ **ს. ქავთარაძესთან** Спб. Пушкинская у. 17 кв. 9.

თხოვთ ქართულ გაზეთებს ეს წერილი მოათავსონ უმახლობელეს ნომერში.

ს. დადიანი.

ქაკმენისა თუ გორდოსის სითხე.

ჟაკმენის სითხე ყოველ გვარ ვაზის ავადმყოფობას სპობსო, გაავრცელეს ეს ხმა ზოგიერთებმა. მებაღეებმა ევენახეებსაც ეჭაშნიკათ ასეთი სითხით წამლობა, რომელიც ერთბაშათ ჰკურნავს ვაზს ყოველ გვარ სენისაგან. მინდა ჩემი დაკვირვება გავუზიარო ჩვენს მევენახეებს. ბევრი მათგანი თავიდანვე მეკითხებოდა ჟაკმენის სითხის შესახებ, მაგრამ რადგანაც ჯერ ნაცადი არა მქონდა, გადაწყვეტით ვერაფერს ვამბობდი. ახლა კი შემიძლიან გავუზიარო მათ ჩემი დაკვირვება. ერთ ნაკერს ვენახში ვუწამლე ერთ გვერდზე ჟაკმენის სითხით და მეორეზე ბორდოსის სითხით. ჟაკმენის სითხით ვუწამლე სამჯერ: ერთი აყვავებამდე, მეორე დაყვავილების შემდეგ და მესამეც რამოდენიმე ხნის შემდეგ მეორე წამლობისა. წამალი შევაზავე ისე, როგორც ნაჩვენებია დარიგებულ ბროშურებში, მხოლოდ კირი არ მიქნია. თავიდანვე ვატყობდი, რომ ვერც მილდიუსაგან ჰშველოდა ეს წამალი ვენახს და ვერც ნაცრისაგან, მაგრამ მაინც ბოლომდე უცადე და და წამლობა თავ-თავის დროზე შევასრულე. ბოლომკი დამანახვა, რომ ვაზს სრულებით არ ეტყობა წამლობა, მილდიუმ და ნაცარმა გაანადგურეს იგი. მაშინ როდესაც იქვე გვერდით მხოლოდ ერთხელ ვუწამლე ბორდოსის სითხით დაყვავილების შემდეგ ე. ი. იმ დროს როდესაც ჟაკმენის სითხით მეორედ ვწამლობდი. წამალი ახლაც აჩნია ფოთლებს და ვაზიც საღია.

ზევითა ვთქვი, რომ ჟაკმენის სითხისთვის კირი არ მიქნია მეთქი, როგორც ნაჩვენებია დარიგებულ ბროშურებში, მაგრამ, ვინც კირი გაურია ამ სითხეს, უარესი თუ არა უკეთესი დღე არც დასდგომია.

ი. გუნცაძე.

სხვა და სხვა ამბავი

დიპლომატიურ წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ როგორც კი იტალიელები გაანთავისუფლებენ ეგეის კუნძულებს, ბერძნები მაშინვე ეცდებიან ამ კუნძულებზე დესანტები გამოიყვანონ.

სამხედრო მინისტრმა აუკრძალა სამხედრო მოხელეებს ბაასი ჟურნალისტებთან, არმიის ამა-თუ იმ ღირსების თაობაზე.

სალარ უდ-დოულე თეირანს მიუახლოვდა. ქალაქი ძლიერ შეშინებულია; მთავრობა მზადებას შეუდგა.

„და უნებლიეთ წარმოდგება ოხვრით ეს გრძნობა:

—

„აჰა პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი,

„აჰა ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,

„აჰა ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატი;

„მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ, ხედავ ბრმობილო!

თავი ადგაბეზრე ხელოვნებაზე ლაპარაკით... გინდა უსათუოდ ხალხის ზნე-ჩვეულების შესახებ გებაასო, მისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური წეს-წყობილება აღგიწერო? ჩემის მხრით სიტუტუცე იქმნებოდა, ასე, ერთი თვალის გადავლებით, მთელი ხალხის თვისებათა დასურათება რომ მეკისრა. მაგრამ, რაიცა შთაბეჭდილებას შეეხება, ბერძნები მეჩვენენ დინჯ, რიგიან, თავაზიან და სტუმართ მოყვარე ხალხად. სადაც უნდა შევსულიყავ, ყოველგვარ მასპინძლობას აღმომიჩენდნენ (რასაკვირველია სადილ-ვახშმად დაპატიჟებას არა ვგულისხმობ). „კსენოსი“—სტუმარი, უცხო კაცი, როგორც ჰგავს, დიდი პატივისცემაში ჰყავთ. ბერძენი სახით ძალიან წაგავს ქართველს, ბევრად უფრო ვიდრე იტალიელი.

ბერძენი, იტალიელისავით, დიდი მოყვარულია თავისი ჰაწია სამშობლოსი. ისეთი უბრალო ადამიანები, როგორიც გიდები (გზაში გამცილებელი) არიან, გინდ სასტუმროების მეკარენი, იგინიც კი ღრმა აღტაცებით იხსენიებენ თავისს წარსულს, და სიხარულით შესტრფიან მომავალს. მრავალი ბერძენი, რომელსაც სიმდიდრე შეუძენია უცხოეთში დიდ ფულსა ჰხარჯავს, რომ ძველი ნაშთები აღადგინონ. მაგ. ერთ ალექსანდრიელ ბერძენს ავეროვს ოთხი მილიონი ფრანკი (მილიონ ნახევარი მანეთი) გაუღია სტადიუმის აღსადგენად. ამ სტადიუმში 1906 წლიდან იმართება ხოლმე სწორედ იმგვარი ოლიმპის თამაშობა-ვარჯიშობა, როგორიც ძველ ელლინთა დროს იყო. კერძო პირის აშენებულია ზემოხსენებული ოლიმპიის მუზეუმი, ათინაში მშვენიერი მარმარილოს წიგნთსაცავი. ბერძენი გაცხარებულ კულტურულ მუშაობაშია, უნდა აღადგინოს თავისი ძველი დიდება... მოსახერხებელია ესა, თუ არა, ამას არას დასდევენ. კარგად იციან, რომ მაღალ იდეალისაკენ მისწრაფებას ყოველთვის ძვირფასი და კეთილი ნაყოფი მოაქვს.

როგორც იცი,—მაკედონელთა ბატონობა რომ ანგარიშში არ ჩავაგდოთ,—მეორე საუკუნის ნახევრიდან ქრისტეს დაბადებამდე საბერძნეთი ჯერ რომაელთა პროვინციად იყო, მერე ქრისტეს შემდეგ VI საუკუნის ნახევრიდ. ბიზანტიელთა საკვიდროდ. ხოლო, როცა 1453 ბიზანტია დაემხო, საბერძნეთი ოსმალეთს ჩაუვარდა ხელში და მხოლოდ მე-19 საუკ. პირველ ნახევარში განთავისუფლდა ბარბაროსთა ძონობისაგან. ამდენი ხნის (თითქმის ორი ათასის წლის) მონობას შეუძლებელია თავისი საშინელი დაღი არ დაესვა ამ ხალხის ცხოვრებისათვის. ათინამ ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა თითქო ხალხი ხანგრძლივ ომის შემდეგ ძალს იკრებდეს და ახალ ცხოვრებას საძირკველს უდგამდეს. ეს გაცხარებული მუშაობა დინჯადა და წყნარად ხდება. ზომიერება, რომელიც მეწვრილმანებისაგან ძალიან შორს არის, უაღრესი თვისება იყო ელლინისა. ჩემს თვალში ეს ღირსება არ დაუკარგავს არც ახალ ბერძენს... ქუჩაში ვერავითარ ისეთ ყიჟინს ვერ გაიგონებთ, როგორც მაგ. პარიზში, გინდ ნეაპოლში. სხვა და სხვა გასართობ დაწესებულებებში (კაფე, რესტორანები, ბაღები) ბერძენი ძლიერ თავდაჭერილად სიამოვნებს. ვერ არიან, როგორლაც, მოქეიფე ხალხი, როგორც იტალიელები, გინდ ფრანგები. თითქო რაღაც დარდი აწევთ გულზედაო. ასეთს ცისა და ზღვის შვილებს რათ უნდა ჰქონდეთ ნაოჭი შუბლზე? მე ამას ვაწერ ხანგრძლივ მონობის უღელს, რომელიც ძალიან, ძალიან დიდ ხანს ამახინჯებდა ამ საუცხოო ხალხის ცხოვრებას. დღესაც ოსმალეთის წყალობით, ათინა მოწყვეტილია ქვეყნიერობისაგან: შეუძლებელია რომელიმე ევროპიელ სატახტო ქალაქიდან ათინაში რკინის გზით მიხვიდეთ, იმიტომ, რომ საბერძნეთის საზღვარი ჩრდილოეთით ოსმალეთის საზღვარს აკრავს და ოსმალეთი კი რკინის გზის გაყვანის ნებას არ იძლევა. ეს ძალიან ხელს უშლის ვაჭრობას, და უმთავრესად კი ევროპიელთა მოგზაურობას, ვინაიდან ზღვით მოგზაურობა ზამთარში და შემოდგომაზე საშიამოვნო არ არის. მაგრამ ბერძენი იმედითა და სასოებით არის აღვსილი.

(დასასრული იქნება)

კიტა აბაშიძე.

ოსმალეთის აფიცრების უკმაყოფილება.

ტრიპოლიტანიის და კირენაიკის ოსმალელ აფიცრებმა ენვერ-ბეის მეთაურობით, სულთანს დეპეშა გაუგზავნეს, საცა ღრმა უკმაყოფილებას უცხადებენ იტალიასთან ზავის ჩამოგდების გამო.

მუშათა გაფიცვა.

გაიფიცნენ პუტილოვის ქარხნის მუშები, რიცხვით 1400 კაცი, ვინაიდან საარჩევნო უფლება არ ჰქონდათ. ქუჩებში დემონსტრაციები გამართეს. მოსალოდნელია სხვა მუშების გაფიცვაც.

გუჩკოვი და მილიუკოვი.

„გოლოს მოსკვი“. ხმები, ვითომ გუჩკოვი მილიუკოვთან ყოფილიყოს უარჰყო. მილიუკოვი კი ადასტურებს ამ ხმებს.

მაკლაკოვი.

მაკლაკოვს საარჩევნო წინასწარ კრებაზე, უსაყვედურეს ტაგიევის საქმის აღება. მაკლაკოვმა უპასუხა, რომ მე ფულის მოყვარეობით კი არ მომივიდა ეგო, არამედ დარწმუნებული ვიყავ მაგ საქმეში ტაგიევი მართალია და ეხლა თუ უარს ამბობს საქმის გაგრძელებისას უმაღლეს ინინსტანციებში, ეს იმიტომ რომ ადვოკატობას თავი დავანებეო.

ომის ხარჯი.

დღემდის იტალიას ოსმალეთთან ომი დაუჯდა. 405 მილიონი მანეთი

ტუსაღთა რიცხვი.

დატუსაღებულთა რიცხვის ზრდის სურათს გვაძლევს იუსტიციის სამინისტროს ცნობები 1897 წელს დატუსაღებული ყოფილა სამუალოდ დღეში 77,254 კაცი, 1901 წელს—84,632. 1902 წელს—89,889, 1907 წელს. დატუსაღებული ყოფილა 138,500 კაცი, 1908 წელს—171,219 კაცი, 1909 წელს—175,007 კაცი, 1910 წელს—171,864, 1911 წელს—178,700 კაცი.

ბუბნოვი თანამდებობას თავს ანებებს.

საზღვაო მინისტრის ამხანაგი ბუბნოვი სთხოვს მინისტრის თანამდებობიდან გაანთავისუფლონ, ვინაიდან მუშაობამ ძალიან მოქანცა. ბუბნოვის თხოვნას ჯერ-ჯერობით მსვლელობას არ აძლევენ. ბუბნოვის თანამდებობის ასრულება შესაძლებელია შეჰხვდეს ადმირალ მურავიოვს.

პროფესორების გადაყენება.

პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორები კიდევ მოელიან გადაყვან გადმოყვანას. როგორც ამბობენ, საეკლესიო სამართლის პროფესორი ბენეშევიჩი გადაჰყავთ ოდესის უნივერსიტეტში. მის ადგილას კი ჰნიშნავენ დორპატის უნივერსიტეტის პროფესორს კრასნოეენას.

ბალკანეთის ომი

დეპეშები

ჩერნოგორიის მხრით.

პოდგორიცა. სერბიელი გენერალი ატანაკოვიჩი, დაინიშნა ჩერნოგორიის ჯარში. იგი ეხლა ცეტინიეშია. პოდგორიცში დღე-დღეზე მოელიან.

ქალაქ პლაკის აღება.

პოდგორიცა. გუშინ ჩრდილოს კალონამ დაიკირა ქალაქი პლაკიე.

სტამბოლი. სტამბოლში მოიყვანეს 80 ტყვე ჩერნოგორელი, მათ რიცხვში აფიცერიც არის.

სერბიის მხრივ.

ოსმალების კერაგოშია.

ბელგრადი. მარდარის აღების დროს ოსმალებმა ააფრიალეს თეთრი დროშა, ნიშნად დანებებისა. როცა სერბიელები მიუახლოვდნენ, ოსმალებმბ სროლა აუტეხეს და მოჰკლეს და დასჭრეს 100 კაცამდე. არნაუტებმაც თეთრი დროშა ააფრიალეს. სერბიის უფროსმა უბრძანა: „მუხლი მოიდრიკეთო!“ არნაუტების უფროსმა ერთი ხელი გაუწოდა სერბიელების უფროს და მეორე ხელით ხანჯალი ჩასცა და მოჰკლა.

გაზეთები აღშფოთებულნი არიან ოსმალების საქციელით, რომლითაც ჰააგის კონფერენციის დებულება დაირღვევა.

ბელგრადი. მინისტრ-პრეზიდენტი პაშიჩი დაბრუნდა ბელგრადში.

ბელგრადი. საზღვრებიდან არავითარი ცნობაა. ნიშში მოიყვანეს რამდენიმე მსუბუქად დაჭრილი სერბიელი.

სერბიელების გამარჯვება.

ბელგრადი. ოფიციალურ ცნობებით წინა რაზმებმა მემკვიდრე ალექსანდრეს უფროსობით დაიკირა ბაიანოვცი და რუიანის სიმაღლეები.

ბელგრადი. კუშუმელთიდან ოფიციალურად იტყობინებიან, 6 ოქტომბერს სერბიელმა ისარგებლეს ჯანყით და პოდუეკის თხრილები დაიკირეს. ოსმალებმა უკან დაიხიეს. 7 ოქტომბერს სერბიელებმა დაიკირეს თვით პადუეკი.

უსკიუბი. სერბიელები პალანაკიასაკენ იძვრებიან. ოსმალები არნაუტებთან ერთად ურიგობას სჩადიან. კუმანოვში შეიპყრეს ბულგარელი და სერბიელი მდვდლები.

ბულგარეთის მხრივ.

სოფია. ბულგარეთის სააგენტო იუწყება, რომ იგი დავალებულია გაბათილოს ტენდენციური ცნობები, ვითომ დრამასის სანჯაკთან შეტაკების დროს ბულგარელნი ღუმ-ღუმის ტყვიით სარგებლობდაო.

ბულგარეთის ორმა ბატალიონმა დაიკირა მუსტაფა ფაშა.

უნაყოფო ბრძოლა.

კარნა. ოსმალეთის გემები უნაყოფოდ ებრძოდნენ ბულგარეთის ნაღმებს. ნაღმები სადღაც დაიმალნენ. 7 ოქტომბერს კალიჟსა და ბალჩიკოვს შუა გამოჩნდა გემი „ბარბაროსი“ და „გამიედი“.

მეფის პასუხი.

სოფია. გეშოვს საპასუხო დეპეშა გაუგზავნა მეფემ: მუდამ მჯეროდა, რომ ბულგარეთის ვარსკვლავი, შეუდარებელი არმია განთქმული თავგანწირული ბრძოლით ბულგარეთის ინტერესებისთვის, რომლის სადარიც არ არის მთელ ისტორიაში, საერთო მტრის დასამარცხებლად გარდაივლის რილოდაგის და როდოპსის მთებს და ამცნებს იქ ცისკარს გამარჯვებისას: „გაუმარჯოს მხნეს და ძლევა-მოსილ ბულგარეთის ჯარს და ბულგარეთის ხალხს!“ ცარევოსელოში ბულგარელებმა აღმოაჩინეს მუსულმანთა სახლებში ყუთები იარაღით.

სოფია. ღამე სოფიის კედლებზე გამოკრული იყო მანიფესტი ომის თაობაზე. დილა ადრიან სოფია გაღვიძებული იყო ზარის რეკით. ქუჩები ხალხით აივსო, ყველანი ეკლესიისკენ მიისწრაფოდნენ ბრწყინვალე ღვთისმსახურების დროს; ილოცეს ბულგარეთის, საბერძნეთის, ჩერნოგორიის და სერბიის მეფეთა დღეგრძელობისთვის, ილოცეს აგრედვე მოკავშირე სახელმწიფოთა გამარჯვებისთვის. ხალხი აღტაცებული დაიშალა. სტრიზაგორში, საცა მთავრის სასახლეა ომის გამოცხადებას აუწერელის სიხარულით მიეგებნენ. მეფემ მანიფესტის წაკითხვის შემდეგ, პირველმა გაისროლა ზარბაზანი, რაც ომის დაწყებას ჰნიშნავდა.

ბულგარეთის საზღვარზე გადასვლა.

სტამბოლი. ოსმალეთის ჯარი ჯუმის ახლოს ბულგარეთის მიწა-წყალში შევიდა. ოსმალები პრიბდინის სანჯაკიდან სერბიაში შევიდნენ. ბესანის მახლობლად ოსმალებმა დაიჭირეს სიმაღლეები. ოსმალები ფილიპოპოლის და კუსტენდელისკენ იძვრიან.

საბერძნეთის მხრივ.

ათინა. გაზეთი „ესტია“ იუწყება, რომ პალატის დახურვის შემდეგ, მეფე ვენიზელოსის თანახლებით მომქმედ არმიაში წავა. თურმე მიტროპოლიტს უნდა წაჰყვეს მეფე, რათა აკურთხოს საბერძნეთის იარაღი. დღეს მოვიდა 700 მოხალისე. ეკლესიებში პარაკლისს იხდიან საბერძნეთის გასამარჯვებლად. ეპირის ჯარი გრიბოვსა და კოსტაკის მახლობლად დაბანაკდა. ოსმალეთის ჯარი სტრივინთაა. ბრძოლა აუცილებელია.

ომი და სახელმწიფონი.

კიევი. სლავიანთა საქველმოქმედო საზოგადოება შეუდგა შემოწირულებათა შეკრებას. კითხულობენ ლექციებს სლავიანთა საკითხის გამო.

პარიზი გაზეთი „რადიკალი“ გამოსთქვამს სურვილს, რომ საზონოვის მოქმედებას ზურგი გაუმაგროს რუსეთის საზოგადოების აზრმა. რუსეთმა უნდა შეიგნოს, რომ საფრანგეთის პოლიტიკა ბალკანეთის საკითხში რუსეთის ინტერესების დაცვასაც ემსახურებაო. „ფიგარო“ აფრთხილებს საზოგადოებას არ დაუჯეროს იმ ცნობას ვითომც პოლემიკა „ნოვო-ვრემიასა“, ერთის მხრივ, „ტანისა“ და „ტეიმსისა“ მეორე მხრივ, პუანკარეს გამოწვეული იყოსო.

გაზეთებიდან.

სერბიის მხრით.

პირველი შეტაკება.

ბელგრადიდან იტყობინებიან, რომ 4 ოქტომბერს ოსმალეთის ჯარი პრეპოლიცის ახლოს საზღვარს გადავიდა: სერბიელები ზარბაზნის ფიცხელის სროლით დახვდნენ მტერს და უკუაგდეს. ბრძოლის ველზე დარჩა 200 მოკლული ოსმალო; სერბიელებს 40 კაცი დაუკრეს და 10 მოუკლეს.

ალბანელი მაჰმადიანები.

ალბანელთა რაზმი სერბიის მიწა-წყალზე გადავიდა და იერიში მიიტანა მტერზე. სერბიელებმა სასტიკად დაამარცხეს იგინი.

ბულგარეთის მხრით.

ჯარის განაწილება.

„ტეგლიშე რუნდშაუ“ სწერს: ბულგარეთმა ორ ნაწილად გაჰყო თავისი ჯარი. პირველი—აღმოსავლეთისა—მდინ. მარიცის ნაპირზე სდგას, რომლის უმთავრესი ბანაკიც ძველ ზაგორაში იმყოფება. ეს რაზმი 250.000 კაცისაგან შესდგება, რომელსაც თვით ფერდინანდი—მეფე ჰმეთაურობს. მეორე ნაწილი რიცხვით 95.000, კუსტენდელის ახლოა დაბანაკებული. იგი სერბიის ჯარს უნდა შეუერთდეს შეთანხმებულ მოქმედებისთვის.

ომის მანიფესტი.

მეფე ფერდინანდი და მინისტრები მომქმედ ჯარის პანაკში წავიდნენ. მთელს ბულგარეთში ომის მანიფესტის გამოსვლას საღღვგომო ზარის რეკით შეხვდნენ. ხალხი სადღესასწაულო ხალისით მიეშურება საბრძოლველად.

კონსულის დატყვევება.

ადრიანოპოლში მყოფი ბულგარეთის საკონსულოს მეორე მდივანი, სტამბოლს მისვლისთანავე, დაატუსაღეს. მას ჯაშუშობას აბრალებენ.

ჩერნოგორიის ვიზიტორის აღება.

ბელგრადიდან—ეუბნებიან ტანიუგს—4 ოქტომბერს ჩერნოგორელებმა დაიჭირეს ვიზიტორის მთა, რომელიც გუსინიეს ციხეს დასცქერის. გამარჯვებულთ ხელს ჩაუვარდათ 4 ზარბაზანი, 2 დროშა და მრავალი სამხედრო სურსათი.

ქ. ბერანეს აღება.

პოდგორიციდან იტყობინებიან: 5 ოქტომბერს, საღამოს, ჩერნოგორიის ჯარმა, რომელსაც გენ. ვუკოტიჩი ჰმეთაურობს, იერიშით აიღო ცერნოვრახისა და ელოვიცის ციხეები, სადაც ხელთ იგდეს კრუპის ორი ზარბაზანი. შემდეგ ამისა. ქ. ბერანეს შემოერტყნენ და ცხარე ბრძოლის შემდეგ აიღეს. ალაფად დარჩათ კრუპის 12 ზარბაზანი, დიდ ძალი საომარი მასალა: ყუმბარები, ფქვილი და სხვა. ბერანეში იმყოფებოდა 4,000 რეგულიარული და 3,000 ირეგულიარული ჯარის-კაცი. ჩერნოგორელებმა ჯერ-ჯერობით ტყვედ წაიყვანეს 700 ოსმალო.

ტარაბოშის იერიში

„ცეიტ“ის ცნობით, სამხრეთის რაზმის უფროსს, გენ. მარტინოვიჩს, უკვე აუღია ტარამოშის მთისა და მურიჩის ციხის ნაწილები. ტარამოშის უმთავრესი ციხის იერიში გრძელდება.

საბერძნეთის მხრით

საბერძნეთის ნაღმოსნების რეიდი.

ათინის ოფიციალურ ცნობით საბერძნეთის ნაღმოსნებმა „ა“ და „დ“ პრევეზის სრუტეს შეუმჩნევლად გაიარეს. ნაღმოსნები ნაშუადამევის სამ საათზე გამოვიდნენ და დილის 5 საათზე უკვე ალბანეთის ნავთ-სადგურ ვონიცაში იყვნენ. ოსმალებმა მათ ვერა დაიკლო რა, მიუხედავად იმისა, რომ სანაპიროები ძალზე გამაგრებული აქვთ.

საბერძნეთის ფლოტი და დარდანელი.

ოსმალეთ-იტალიის ომის დასრულების შემდეგ, დარდანელის დაკეტვის შიში სრულიად აღარ არის, რადგანაც საბერძნეთის ფლოტს განზრახვაც არ აქვს იქ წასვლისა. დარდანელის გარემოცვას სულ მცირე 8 ჯავშნოსან გემს მისთვის ვერ მოაცდენს.

საიდუმლო განკარგულება.

საბერძნეთის ფლოტმა დაბეჭდილი კონვერტით საზღვაო მინისტრის ბრძანება მიიღო და მყისვე ზღვაში გავიდა.

ომი და სახელმწიფოები.

ავსტრია ადრიატიკის ზღვაში.

საბერძნეთის მთავრობამ ვენელ ელჩს შეუთვალა: გამოუცხადე ავსტრიის მთავრობას, რომ საბერძნეთის ფლოტი ოსმალეთის სანაპიროების იერიშს აპირებსო. გრაფმა ბერტჰოლდმა უპასუხა ელჩს, რომ ადრიატიკის ზღვაში ავსტრია ვერავითარ საომარ მოქმედებას ვერ მოითმენსო.

რუსეთის ნეიტრალიტეტი.

რუსეთის ელჩმა—გირსმა—დაიმედა ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრი, რომ რუსეთი ნეიტრალიტეტს დაიკავსო.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. საგენტო)

9 ოქტომბერი.

საზღვარ-გარედ

ცზინდაო. პრუსიის პრინცი ჰენრიხი დალნში წავიდა.

მფრინავთა დაღუპვა.

შპასბერი (საქსონია). დირიჟაბლში საცა ორი თანამგზავრი იჯდა აფეთქება მოხდა. დაიღუპა ორივე მგზავრი.

შემწეობის თხოვნა.

ურგა. მთავარი უდი მონღოლელ მინისტრებს სთხოვს შემწეობას მასთან ერთად გაქცეულ 100 მონღოლთა ოჯახებისთვის.

ფულის გატაცება.

მადრიდი. ესპანეთის ბანკის დამტარებელს მიჰქონდა 22.000 პეზეტი (37½ კაპ.) 4 უცნობი დაეცა თავს, პირზე ნილაბი ჩამოაცვეს და ფული გაიტაცეს.

რომი. პოლიტიკურ წრეებში არავითარ მნიშვნელობას აწერენ სანაჯულიანოს და ბერტჰოლდის ნახვას. სამთა კავშირის განახლების საკითხი განხილვა გადადებული იქნა სან-ჯულიანოს და ბეტმან-ჰოლვეგის მოლაპარაკებამდე ბერლინში.

ბერლინი. რუსეთიდან 1800 ფუთი ხორცი მოიტანეს.

ჩიკაგო. რუზველტი აისტერბეი-ში წავიდა. მდგომარეობა უცვლელია.

კონფერენციის გახსნა.

ბრიუსელი. გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია პროსტიტუციასთან ბრძოლის საკითხის განსახილველად.

რუსეთი

გაზეთების დაჭერა.

პეტერბურგი. ბეჭდითი საქმის კომიტეტმა დაიჭირა გაზეთ „რეჩის“ მე-276 ნომერი, „გუშინდელი წინასწარი საარჩევნო კრებები პეტერბურგში“, დაბეჭდისთვის. დაიჭირა ავრედვე მეშვიდე ნომერი „სტოლიჩნი დტკლიკისა“.

ბულგარეთის ელჩი ბობჩევი მოვიდა.

პეტერბურგი. დაატყვევეს გაზეთი „ვეჩერნეე ვრემიაა“ მე-270 ნომერი წყრილისთვის „რა ვქნათ“? დაატყვევეს „დენის“ მეშვიდე ნომერი, წერილისთვის „შრომის კონფედერაცია და ბალკანეთის ომი“.

კურსების გახსნა.

მოსკოვი. [illegible] გაიხსნა მდედლების კურსები, საცა მოამზადებენ მდედლებს ციმბირისთვის.

ყაჩაღთა გასამართლება.

ეკატერინოდარი. სამხედრო სასამართლოში ირჩევა საქმე ყაჩაღთა ბრბოსი, ყუბანის ოლქში რომ თარეშობდა. 40 ბრალდებულია, 274 მოწმე. გარჩევა ორ კვირას გასტანს.

უცხოეთი

რუზველტის მოკვლის განზრახვა.

რუზველტის მოკვლის განზრახვა დაწვრილებით გამოირკვა. რუზველტი მულოკოკის მიტინგზე მიდიოდა. გამოვიდა თუარა სასტუმროდან ავტომობილში ჩასაჯდომად, მივარდა ერთი უცნობი კაცი, ესროლა რევოლვერი და გაქცევა დაიპირა, მაგრამ პოლიციამ მალე შეიპყრო ბოროტგამრახველი. ამოობაში მოგროვილი ბრბო ფრიად აღელვებული ამ საშინელებით, სცდილობდა დამნაშავე ხელთ ეგდო, მაგრამ პოლიციამ ნება არ მისცა. დაჭრილის რუზველტი მივიდა დამნაშავესთან და მიზეზი მისი მოკვლის სურვილისა ჰკითხა, დამნაშავე სდუმდა. შეუხვიეს ჭრილობა თუარა რუზველტი წავიდა მიტინგზე, მთელი ერთი საათი ილაპარაკა, მომხდარ ამბის გამო კრინტი არ დაუძრავს. რუზველტი ლაპარაკის დროს დასუსტდა, ხმამ უღალატა; ამით ისარგებლეს მისმა მოწინააღმდეგებმა და დაიხვა დაუწყეს რუზველტს. მაშინ რუზველტმა ბოდიში მოიხადა ხალხის წინაშე და მიზეზი დასუსტებისა უთხრა; ამის დასამტკიცებლად გადაიღეა გული და გასისხლიანებული პერანგი აჩვენა. ხალხი დიდის თანაგრძნობით გაიმსჭვალა რუზველტისადმი და განუწყვეტელი ტაშის ცემით მიეგება. როცა ტაშის ცემა მისწყდა, რუზველტმა ახსნა მისი მოკვლის სურვილის მიზეზი, ჩემმა მოწინააღმდეგებმა ცილის წამებით ხალხის მტრად და ძოღალატედ მომნათლესო. პატარა ხალხმა დაუჯერა და აი დღევანდელი ამბავი ამის ნაყოფიაო“ რუზველტის ჭრილობა საშიშია. დამნაშავე სულით ავადმყოფი აღმოჩნდა; იგი სოციალისტების პარტიას ეკუთვნოდა. (რეჩი).

რუსეთი

საზონოვის მოხსენება.

მინისტრთა საბჭოს კრებაზე გარეშე საქმეთა მინისტრმა მოხსენება წაიკითხა, საცა კაბინეთს აცნობდა აწინდელ საქმის მდგომარეობას.

საზონოვმა აღნიშნა, რომ როგორც კი აიწეწა ბალკანეთის საქმეებიო, მშვიდობიანობას საფრთხე მოელოდეო. ევროპის შიშს უფრო ავსტრია ჰკვებავდა, რადგანაც ძოსალოდნელი იყო მისი აქტიური ჩარევა ბალკანეთის ამბებშიო. ავსტრია უფრო მჭიდროთ არის დაკავშირებული ბალკანეთთან, ვიდრე სხვა ევროპის სახელმწიფოო. ამიტომაც, ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გაიმართა სახელმწიფოთა შორისო მოლაპარაკება. პირველადვე გამოირკვა, რომ ყველა სახელმწიფო ერთი მიზნისაკენ ილტვოდა—მშვიდობიანობის განმტკიცებისაკენ ბალკანეთშიო.

როცა მშვიდობიანობა დაირღვა და ბალკანეთის სმხელმწიფონი ომის ალში გაეხვია, ერთად-ერთი საზრუნავი სახელმწიფოებისა იყო ომის ასპარეზის შეზღუდვა, რათა ევროპის ომიც არ გამოწველიყო. ამისთვის ევროპამ გულის ყური ავსტრიისაკენ მიაპყრო, როგორც უფრო დაინტერესებულ სახელმწიფოსაკენ. თუ ავსტრია აქტიურად მოქმედებას დაიწყებდა, მაშინ სხვა სახელმწიფონიც თავისი ინტერესების დასაცავად მის მაგალითს მიჰყვებოდნენო. ავსტრიის მზადებაო, განაგრძობდა მინისტრი, და სხვა მოსაზღვრე სახელმწიფოთა მზადება ომის მომასწავებლად უნდა ჩათვლილიყოო. მაგრამ მოლაპარაკებამ ის ნაყოფი გამოიღოო, სთქვა მინისტრმა, რომ ავსტრიის შიში სრულებით არ უნდა გვქონდესო, რადგანაც იგი ბალკანეთის საქმეებში ჩარევას აღარ აპირებსო. ამის თაობაზე დარწმუნებით შეიძლება ლაპარაკი, როგორც მომხდარ ფაქტზეო. რაც შეეხება სახელმწიფოების მზადებას, მინისტრი ამბობს, რომ ამას მხოლოდ თავის დაცვის ხასიათი აქვს და არავითარ განსაცდელს წარმოადგენსო.

საზონოვის განცხადებით, ყველა სახელმწიფოს მაღალი წრეები კმაყოფილნი არიან დიპლომატიის მოქმედებისა. იღებს რა მხედველობაში ყველა ამას, მინისტრი ამშვიდებს კაბინეთს, რომ რუსეთს ომის საფრთხე არ მოელისო. ამას ამტკიცებს, დაასრულა მინისტრმა, რუსეთის მეგობრული ურთიერთობა საფრანგეთთან და ინგლისთანაო.

მებრძოლი ნაციონალისტები.

ნაციონალურ კლუბში გაიმართა საგანგებო კრება. დევიზი ამ კრებისა შემდეგი იყო. რუსეთის ხალხი თავის მოძმეთა ინტერესებს გულმხურვალედ რო ეკიდებოდა, ეხლაც არ დარჩება გარეშე. ამის ახსნა და განმარტება იკისრეს კულაკოვსკიმ, ბაშმაკოვმა და ნიკოროვმა. კულაკოვსკი გაცხარებით ამტკიცებდა, რომ სლავიანთა საქმე, რუსეთის საქმეაო, და ამიტომ რუსეთმა თვისი მძლავრი ძალა უნდა მოიხმაროსო, მეორე ორატორის სიტყვა უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებდა. თუმცა იგი ომის წინააღმდეგი არის, მაგრამ მაინც რუსეთმა სლავიანელებს დახმარება უნდა გაუწიოსო. ბაშმაკოვს იმედი აქვს, რომ მოძავალი ნაციონალური სათბობირო ასწავლის რუსეთის დიპლომატიას, როგორი კილოთი უნდა ილაპარაკოსო.

ნიკოლოროვმა წაიკითხა ლექციის მსგავსი: „საომრო საქმე სლავიანთა სამხრეთზე და რუსული გული“. ავსტრიის მოქმედება ორატორს არ მოსწონს, რუსეთმა რომ თვისი ძლევა-მოსილებით ხმა აღიმაღლოსო, ავსტრია მაშინვე მიეყუჩებაო. ორატორებს ტაშის ცემით ეგებებოდნენ.

კოკოვცევის აზრი ბალკანეთის ომზე.

მთავრობის ზოგიერთ წარმომადგენელმა მიჰმართა კოკოვცევს კითხვით ბალკანეთის საქმეების გამო. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სთქვა, რომ სხვა სახელმწიფონი აქტიურად არ ჩაერიონ ომშიო. ომის შეზღუდვა ბალკანეთში დიპლომატიამ ძოახერხოსო. ამ რიგად ევროპის სახელმწიფოთა შორის ომი არ მოხდებაო. საერთაშორისო თანასწორობა ბალკანეთში მომხდარ ამბების გამო არ დაირღვეეაო, დაათავა პრემიერმა.

მილიუკოვის ლექციის აკრძალვა.

2 ოქტომბერს საპოლიტეხნიკო მუზეუმი აუარებელი ხალხით სავსე იყო და მოელოდდა ლექტორ პ. ნ. მილიუკოვს. პ. ნ. ძელიუკოვს უნდა წაეკითხა ლექცია: „ნაციონალობა“. სანამ წინასიტყვაობას იტყოდა მილიუკოვი, პოლიციის მოხელემ შეაჩერა იგი და სთხოვა ლექციის სამეცნიერო მხარეზე გადასულიყო. მილიუკოვიც დასთანხმდა პოლიციელს, როგორც კი უნდა განეგრძო ლექცია პოლიციის მოხელემ ლექცია აკრძალა. ხალხმა აღტაცებულის ტაშის ცემით გააცილა მილიუკოვი. ამ საქმის გამო ადმინისტრატიულის წესით შეიპყრეს ალ. ნ. მილიუკოვი და ლექციის გამმართავი პრივ.-დოც. ფ. ა. ალექსანდროვი.

თეატრი და ხელოვნება

ნაძალადევის თეატრი. კვირას, 8 ოქტომბერს ს. ს. ფრემ ბ. სვიმონიძის რეჟისორობით წარმოადგინა ისტორიული 4 მოქ. დრამა კ. მესხისა „ბაგრატ IV“. დიდ აღტაცებში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება ამ წარმოდგენამ. ქ-ნმა ელენე ჩიქოვანმა შეუდარებლად დაგვიხატა მარიამის როლი. კარგი იყო ბ. სვიმონიძე ვახტანგის როლში. მხოლოდ როლის უცოდინარობა ეტყობოდა. კარგები იყვნენ ბ.ბ. ვ. გოგია თვით ბაგრატის როლში, სვანიძე პაატას როლში და თევზაძე თეოფილე გვიჩიას როლში. დანარჩენებიც თავიანთ მოვალეობას პირნათლად ასრულებდნენ, გარდა ქეთევანის როლის მოთამაშისა. წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო.

მცირე შენიშვნა ბ. რეჟისორს: მოქმედების დროს ხშირად გვესმოდა სცენიდან პარტერში უადგილო ყვირილი თვითონ ბ. რეჟისორისა....

დამსწრე:

ბათუმი. საუკეთესო წესი შემოიღო ბ-ნმა შალვა დადიანმა—ყოველ ახალ პიესას ან თარგმანს, წაუძღოლებს ხოლმე მცირე განმარტებას, რითაც ორკეცად აინტერესებს—საზოგადოებას და მეტის ყურადღებით ასმენინებს. ასე მოიქცა ბ-ნი დადიანი 7 ოქტომბერს, როდესაც წარმოადგინეს შმაეფსკის თეატრში—თავის მიერ ნათარგმნი პიესა „ჰანნელე“ გაუპტმანისა.

პიესამ საუცხოოდ ჩაიარა და დაუსრულებელი ტაშის ცემა გამოიწვია. ბევრს ცრემლები მოჰგვარა. კარგი იყო ჰანნელეს-როლში ქ. ანდრონიკაშვილისა. ტიპიური ლოთი კალატოზი იყო ბ. ყალაბეგიშვილი (პეტრე). არა უშავდარა ბ. მურუსიძეს (ტყის მცველი ზეიდენ) მოხერხებულად ასრულებდენ მაწანწალების როლს, წუწუნავა, ხარაზიშვილი და ჩაგუნავა.

ყველაზე მომხიბლავი იყო ცოცხალი სურათები-ანგელოზები – გეგონებოდათ ნამდვილი ანგელოზთა დასი მოვლენილან სცენაზედო...

ამას ხელს უწყობდა თავის დროზედ განათება დაბნელება სცენისა.. დედის როლში ბეჟანაშვილისა მოისუსტებდა...

დასასრულ წარმოადგინეს კომედია გომარეთელისა „დრამატიული საზოგადოების გამგეობის წევრი“. ამ პიესამ ბევრი აცინა საზოგადოება. ხალხი საკმაოდ დაესწრო. ეტყობა ხალხი თანდათან ეჩვევა კარგ მოთამაშეთა დაფასებას. შემდეგი წარმოდგენები განზრახულია 14 და 21-ს ოქტომბერს..

ტრ. ჭობარელი.

ღია წერილი

როგორც პატივცემულ მკითხველებს მოეხსენება, სოფ. ღარიხევის (ბელაგორის რაიონი) სამინისტრო სკოლა, თანახმად ადგილობრივ მცხოვრებთა განაჩენისა, უნდა გადაკეთდეს ორ კომპლექტიანად. მოეხსენება ისიც, რომ ამ სოფლის ეკლესია უნდა გადაკეთდეს ამავე მცხოვრებთა ხარჯით. ასე რომ, ერთსა და იმავე დროს ორი საძნელო, მაგრამ მეტად სიმპატიური საქმე უხდება ღარიხევის მცხოვრებთ გასაკეთებლად, რომელიც მხოლოდ 120 კომლისაგან შესდგება. თავის თავად ცხადია თუ როგორი საძნელო იქნება ასეთ მცირე რიცხოვან და გალატაკებულ სოფლისათვის ამ საქმეების სისრულეში მოყვანა, რომელიც 500—600 თუმნამდე დაჯდება და თითო კომლს 4—5 თუმნის გადახდა მოუხდება. ამისთვის ვბედავ მივმართო ყველა იმ პირთ, რომელთაც ტანჯული გლეხობის ჭირვარამი გაუზიარებიათ, მოხედონ ამ სოფელს და მცირედი წვლილით დახმარება აღმოუჩინონ სკოლის შენობის აგებაში მაინც. უკეთუ ეს ჩემი უმორჩილესი თხოვნა ვისმე ყურადღებას მიიქცევს, შემოწირულება უნდა გამოიგზავნოს ქვემო აღნიშნულ ადრესი, რაც დაუყოვნებლივ გაზეთში იქნება გამოცხადებული.

დ-ვშთები სოფ. ღარიხევის მცხოვრები

მიხ. დეკანოსიძე.

მისამართი: სად. ბელაგორი, მიხეილ დეკანოსიძეს.

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ გ. დიასამიძეს გაზ. „თემი“-ს უფასოდ გამოგზავნისათვის.

ტფ. ქალთა უმაღ. კურსებ-ს ხსმ. ნელნი.

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ როგორც ჩემის მხრით, აგრედვე მრთელის მრევლის მხრითაც ქ. ბ. ნინა რუხაძისას იაგორ ბოლქვაძის ასულს მცხოვრებს დ. ჭიათურაში, რომელმაც შამოსწირა ჩემდამი რწმუნებულს სამღთოის იოვანე ნათლის მც. ეკლესიას საცეცხლური ღირებული 15 მ. და აგრედვე აღგვითქვა თავის ნაცნობთა შორის ფულის შეკრებას ამავე ეკლესიისათვის.

სამღთოის იოვანე ნათლის მც. ეკლესიის შტ. მღვდელი **გერასიმე ნაკაიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსაძებელი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: **ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ. ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: **ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: **სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: **საბაგარაკო** 8 ა. ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საბაგარ. მატ.** № 77 **, ილ. 8 ს. 45 წ.

ჯულუფისაკენ: **საფოსტო** № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: **სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109|104 I—III კლ. ვაგ. დილ. 1 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: **ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: **ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

მცხეთიდან: **საბაგარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საბაგ.** № 76 **, ნაშუადღ 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: **სახ.** № 9|10 ადღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: **საფ.** № 72|73, ივლისის 7 ს. 26 ს. **ერევნიდან საქონ.** და **სახ.** № 80|81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **ბ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ჭალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საკმეველ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ შემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, ნ4, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეოდოსიის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თამოეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ბატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. ნ. ტელეფ. 71.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

1 **ირგვლივ მოსიარულე,** სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიი. ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა
კავკაზი და „მერკური“
ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.

ასტარაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის 8. 45 წ.

ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზი მერკური**“ ტელ. 82.

განცხადებანი

სტამბა „ნაკ ეჟდა“

გადავიდა ქამოევის სახლში, მადათოვის ბუნებულზე. **ვორონცოვის ძეგლის** პირდაპირ. **სტამბამ** შეიძინა და ძალე მიიღებს კიდევ მრავალ ახალ-ახალ გამოგონილ შრიფტებს, კლიშეებს, ბორდიურებს და მაშინებს, რაც იმედს გვაძლევს შევასრულოთ ყოველივე სასტამბო საქმე **ლამაზად, თავის დროზე** და სინდისიერ ფასებში. სტამბაში მუშაობენ ყველა დარგზე **ბეჯითად მცოდნე** პირები, როგორც ამწყობისა, ბეჭდვისა და კორექტორისა, ისე სხვ საქმეები სრულდება: რუსულ, ქართულ, სომხურ, თათრულ და ფრანგულ ენაზე. 717

საჭიროა ქართველი შუა ხნის ქალი **გავშვების მომვლელი.** ექიმის ოჯახში (მიხეილის ქუჩა, № 55, სად. 4). უნდა ჰქონდეს კარგი რეკომენდაცია. 716.

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე სოსმრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში [illegible] ზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამე 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოლ საქმისათვის. ძიძებსა დ. ექიმებს ყოველ დღე, დილის 1—12 ს. [illegible] მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.** 1037.

ეჰიმ ნავგასარდიანის პირველი ერი. სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“ — 11—12 ს. შემოხაკუნება

კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავგასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ავგასარიანი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ავადმყოფ. ბავშვთა და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქალი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

ს ა ლ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ. რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მოიგებენ.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

ფეხსაცმელები

თომა დ. ჯანყარაშვილის

მაღაზია-სახელოსნოში.



მუხრანის ქ. № 2. ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები. 683.

ვპისრულობ:

1. დაგირავებას და გადაგირავებას [illegible] მამულებისას როგორც ქალაქებში, აგრ [illegible] სოფლებში.

2. უძრავ ქონებათა ყიდვა-გაყიდვას.

3. მადნეულობის გამოკვლევას და [illegible] შავებას.

4. ყოველგვარ არზების და პეროობ[illegible] ქალალდის შედგენას.

5. ხე ტყის მასალის მსყიდველის და [illegible] ყიდველის შოვნ. ს. მოხოვნელებს ვიღებ ყოველ დღე გარდა კვირისა და უქმე [illegible], დილის ოერთმეტის ნახევრიდან 12 ს. [illegible] და საღამოთი ექვსიდან 7 ს.-მდე. **ბინა: ქ. ტფილისი, გოლ. პროსპ.,** სახლი **ფანთაშვილისა,** სასტუმრო „უნივერსალი“, № [illegible], ტელეფონი № 499. **იოსებ კირილეს ძე რაზმაძე** 1496

16 ენკენისთვიდან, გამოდის ყოველ კვირეული საზოგადო - ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია იმყოფება:

ტფილისი, გაბაანთ შესახვ., № 3 რედაქცია „კლდე“

წლიური ფასი	5 მან.
ამა 1912 წლ. დამლევამდე . . .	1 „ ₾ 50 კ.
თვეში	— „ 50 კ.

(სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მანეთად).

რედაქცია ღიაა ყოველ დღე 11—1 საათამდე. 1495.

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„გამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ცინკოგრაფია

ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ

კლიშეების დამზადებას.

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.

ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. თ.—1307

ბუშკინის ქუჩაზე, № 9,

იძლევა ქირით

ოქრი დიდი თვალი მაღაზია,

შეიძლება შუაზედაც გაიყოს **ორ დუქნად.**

მაღაზიის ზევით მეორე სართულში

ქირით იძლევა ახლად შეკეთებული **ხუთი ოთახი,**

კუხნით, წყლით და ყოველივე მოწყობილობით.

პირობების შეტყობა მსურველთ შეუძლიანთ იქვე,

ძმ. ძეგველოვეზის მთავზის აღაზიაში.